სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №1/ს

(გამარტივებული შესყიდვა)

ერთი მხრივ, სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემია (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ტარიელ ჭულუხაძის სახით და მეორე მხრივ, შპს „მაგთიკომი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი მთავარი კომერციული ოფიცრის მოადგილე ნუგზარ ქავთარაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის თანახმად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5 „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;

1.6 „მომსახურება" - წინამდება ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების საგანი და დაფინანსების წყარო

2.1 სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემისათვის საჭიროებისთვის საკომუნიკაციო სმომსახურების შესყიდვა დანართი N1-ის (რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს) შესაბამისად (კლასიფიკატორის CPV-64200000 კოდი).

2.2 დაფინანსების წყარო - საკუთარი სახსრები.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

3.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულებაზე ორმხრივად ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრამდე.

3.2 მომსახურების გაწევის ვადები: 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

3.3 მომსახურების გაწევის ადგილი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N10

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 2200 (ორი ათას ორასი ლარი) ლარს.

4.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

4.3 ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვილებაზე.

4.4 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე

მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

4.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1.მიმწოდებელი ვალდებულია:

5.1.1 ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა 2021 წლის პირველი იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით დანართი N1-ის შესაბამისად. ამასთან, საკომუნიკაციო მომსახურება გულისხმობს;

5.1.1.1 ქვეკავშირებს შესმყიდველ ორგანიზაციებსა ან/და მათ ტერიტორიულ ერთეულებს შორის;

5.1.1.2 შიდა კავშირებს (VPN, სიმეტრიული ან/და ასიმეტრიული არხები;

5.1.2 დროებით სარგებლობაში გადასცეს შემსყიდველს კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო აპარატურა;

5.1.3 აპარატურის და მოწყობილობების შემსყიდველთან განთავსებისას გაითვალისწინოს განთავსების ადგილისა და პირობების შესაბამისობა მათი წარმოებლის მიერ დადგენილ ექსპლუატაციის ტექნიკურ ნორმებთან;

5.1.4 უზრუნველყოს არხების შესაბამისობა ტექნიკურ ნორმებთან და პარამეტრებთან, ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში;

5.1.5 მიღებული შეტყობინების საფუძველზე მოახდინოს კონკრეტული წერტილი დემონტაჟიდა მისი ხელახალი მონტაჟი შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილას დანართი N1-ში მითითებული ტარიფის შესაბამისად.

5.1.6 უზრუნველყოს სრულყოფილი და ხარისხიანი მომსახურება, ხოლო ხარვეზის არსებობის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილ უმოკლეს გონივრულ ვადაში უზრუნველყოს ამ ხარვეზის გამოსწორება:

5.1.7 მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს შესმყიდველს ინფორმაცია „მაგთიკომი“-ს ტარიფების, გადახდის წესის, საგადახდო ოფსების მდებარეობის, მათი მუშობის საათების და მუშაობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ;

5.1.8 მომსახურების წესისა და პირობების ნებისმიერი ცვლილების თაობაზე შეატყობინოს შემსყიდველს მათი ძალში შესვლამდე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე.

5.1.9 საიდუმლოდ დაიცვას ინფორმაცია შესმყიდველის შესახებ, ასევე „მაგთიკომი“-ს ქსელის მეშვეობით შემსყიდველის მიერ გაცემული ინფორმაცია. ამ პუნქტით გაცემული ვალდებულება ინფორმაციის საიდუმლოების დაცვის შესახებ არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც ოპერატიული საქმიანობის განხორციელებაზე უფლებამოსილი ორგანოები ახორციელებენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს;

5.1.10 განიხილოს შემსყიდველის პეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

5.1.11 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია:

5.2.1 უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

5.2.2 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

6. ხარისხი

გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად, მომსახურების გაწევის დროს;

7.2 კონტროლს განახორციელებს: სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

7.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი, იმ შემთხვევაში თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული წუნდებული მომსახურების ღირებულება;

8. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

8.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით, კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

8.2 მომსახურების მიღებას აწარმოებს: სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება შესაბამისი ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9.3 თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხროციელდება მომდევნო სამუშაო დღე.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-12 მუხლის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ხელშეკრულების 5.1 პუნქტის 5.1.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის

ვადების გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გასაწევის მომსახურების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

11.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლემამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ზინაის (იგულისხმება მხოლოდ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანი) პირგასამტეხლოს გათვალისწინებით ანაზღაურება;

11.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13. დავების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით

15.2ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან

სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად, ქართულ ენაზე.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

<u>შემსყიდველი</u>	<u>მიმწოდებელი</u>
სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემია წარმოდგენილი დირექტორის **ტარიელ ჭულუხაძის** სახით, **მისამართი:** ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №10 **საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში TRESGE22, ს/კ 206348987	**შპს „მაგთიკომი“** წარმოდგენილი მთავარი კომერციული ოფიცრის მოადგილის ნუგზარ ქავთარაძის სახით, **მისამართი:** ქ. თბილისი, პოლიტოვსკაიას N7 **ტელ:** 2 17 17 17 **საბანკო რეკვიზიტები:** სს „ვითიბი ბანკი“ ბანკის კოდი UGEBGE22, ანგ: GE73VT6600000000423607, ს/კ 204876606
ტარიელ ჭულუხაძე	**ნუგზარ ქავთარაძე**

დანართი N1

მომსახურება	ღირებულება ლარი დღგ-ს ჩათვლით
სააბონენტო გადასახადი თითოეულ ნომერზე	0
საქართველოს ფიქსირებული ქსელის მიმართულებით	0.04
მაგთიკომი	0.08
ჯეოსელის და ბილაინის მიმართულებით	0.1
სილქნეტის მობილურის მიმართულებით	0.15
მიმწოდებლის ქსელში ჩართული, შემსყიდველის მობილური კოორპორატიული ჯგუფის მიმართულებით	უფასო

საერთაშორისო მიმართულებები

ქვეყანა	ფიქსირებული მიმართულებით	მობილური მიმართულებით
მოსკოვი	0.1	0.23
რუსეთი	0.5	0.23
თურქმენეთი, უკრაინა, ყაზახეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი	0.4	0.4
აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელარუსი, მლდავა	0.6	0.6
გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, თურქეთი, იტალია, კვიპროსი, საფრანგეთი, საბერძნეთი	0.15	0.4
ევროპის დანარჩენი ქვეყნები	0.15	0.6
აშშ, კანადა	0.15	0.15
ამერიკის სხვა ქვეყნები	0.6	0.6
ჩინეთი	0.15	
ინდოეთი, ისრაელი, იაპონია	0.15	0.15
აზიის დანარჩენი ქვეყნები	0.6	0.6
მსოფლიოს სხვა ქვეყნები	0.6	0.6

Digitally signed by MagtiCom LLC
2020.12.28 15:27:48 +0400